სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ვიოლეტა ფორჩხიძის შეფასების შედეგი:

მოსამართლის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**
პროფესიული აქტივობა	**2**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

გიორგი გზოზავა

თარიღი : 17.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„17“ სექტემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ვიოლეტა ფორჩხიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა 18 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **ვიოლეტა ფორჩხიძე.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 5 სექტემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **ვიოლეტა ფორჩხიძის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით და ამავე ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით, **ვიოლეტა ფორჩხიძე** (როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი), შევაფასე - „საერთო

სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **ვიოლეტა ფორჩხიძე** გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, პატიოსნებით, პრინციპულობით და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით. ამასთან, კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურეობრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, საბანკო, საბიუჯეტო ან სხვა დავალიანების გადახდა და სხვ.) იგი ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები **ვიოლეტა ფორჩხიძის** პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში **ვიოლეტა ფორჩხიძეს** ჩადენილი აქვს 15 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დაკისრებული სანქციები გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **<u>ვიოლეტა ფორჩხიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შესაფასებლად შევისწავლე ვიოლეტა ფორჩხიძის მიერ განხილული, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმე, კერძოდ:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი №1-985/20, 23 აპრილი, 2021 წელი;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება №2/16782-21, 28 სექტემბერი, 2021 წელი;
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება №2/25098-23, 16 ნოემბერი, 2023 წელი;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება №33690-23, 24 მაისი, 2024 წელი;

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება №2/2913-24, 4 ივლისი, 2024 წელი.

კანდიდატის მიერ განხილული საქმეების შესწავლის შემდეგ შემძიძლია დავასკვნა, რომ **ვიოლეტა ფორჩხიძე** როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას.

გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამოქალაქო სამართალს, საპროცესო კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის ნორმებს, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კანდიდატი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ვიოლეტა ფორჩხიძე** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ **ვიოლეტა ფორჩხიძეს** აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 25 წლიანი გამოცდილება. შესწავლილი დოკუმენტაციიდან და შეფასების მასალებიდან ირკვევა, რომ კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნებისა და აზრის დამაჯერებლად გადმოცემის უნარი. შეუძლია სამართლის სხვადასხვა სფეროში აქტუალურ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ვიოლეტა ფორჩხიძე** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.3. წერის უნარი</u>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის და ასევე **ვიოლეტა ფორჩხიძის** მიერ განხილული საქმეების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ნათლად იკვეთება, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი, რაც გამოიხატება იმაში, რომ მის მიერ შედგენილ წერილობით დოკუმენტებში ნათლად და ადვილად იკითხება დოკუმენტის ძირითადი შინაარსი, ნაკლებად ხმარობს რთულ წინადადებებს, რაც ამ დოკუმენტების მკითხველს საშუალებას აძლევს სწორად და მარტივად აღიქვას მათში განხილული სამართლებრივი საკითხები და ხელს უწყობს მისი მსჯელობის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემას და გაგებას. შესწავლილ დოკუმენტებში რაიმე მნიშვნელოვანი ან თვალსაჩინო გრამატიკული შეცდომა, რაც გავლენას იქონიებდა დოკუმენტის შინაარსზე, ან სწორად გაგებაზე, გამოვლენილი არ ყოფილა.

<u>დასკვნა:</u> წერის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ვიოლეტა ფორჩხიძი** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

ვიოლეტა ფორჩხიძეს აქვს კარგი, გამართული მეტყველების უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასებისას - კანდიდატს მიენიჭა შესაბამისი ქულა, მისი საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილების შედეგად. კანიდატი საჯარო მოსმენაზე კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მნიშვნელოვანია, რომ **ვიოლეტა ფორჩხიძეს** გააჩნია სხვისი მოსაზრების მშვიდად და მოთმინებით მოსმენის უნარი. გასაუბრებისას იგი მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

<u>დასკვნა:</u> ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ვიოლეტა ფორჩხიძი** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში)</u>

რაც შეეხება კომპეტენტურობის კრიტერიუმის ერთ-ერთ მახასიათებელს, როგორიცაა პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში, უნდა აღინიშნოს, რომ **ვიოლეტა ფორჩხიძე** გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით და გააჩნია გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2021 წლის აგვისტოდან - 2024 წლის აგვისტომდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 99,1%. გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვა - 100%.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ვიოლეტა ფორჩხიძე** უნდა შეფასდეს 15 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული ნვრთნა</u>

ვიოლეტა ფორჩხიძე მუდმივად ცდილობს განვითარებას და მუშაობს საკუთარ თავზე. ბათუმის საქალაქო სასამართლოში მუშაობისას კითხულობდა ლექციებს, როგორც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში (ბათუმის წარმომადგენლობა). აღსანიშნავია, რომ არის დოქტორანტი და მუშაობს ამ მიმართულებითაც.

<u>გამოქვეყნებული შრომები (სამეცნიერო სტატია/ მონოგრაფია/ წიგნი):</u>

- სტატია - ხელოვნური განაყოფიერება და მხარეთა უფლებების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში
- სტატია - იპოთეკის ობიექტების სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლები, უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი.

ვიოლეტა ფორჩხიძე 2016 წლიდან - დღემდე არის გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი კერძო სამართლის მიმართულებით; სადისერტაციო თემა: „იპოთეკა - საკუთრების უფლების შეზღუდვა".

კანდიდატი ფლობს გერმანულ, რუსულ და ინგლისურ ენებს.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ვიოლეტა ფორჩხიძე** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

<u>2.7. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **ვიოლეტა ფორჩხიძის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია ინიციატივის გამოჩენის უნარი. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, კერძოდ:

- „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია“ - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ გამართული ტრენინგი, თბილისი, 25-26 თებერვალი, 2023 წელი;

- სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა, კომპლექსი ლოპოტა, 28-30 ივნისი, 2023 წელი და სხვა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ვიოლეტა ფორჩხიძე** უნდა შეფასდეს 2 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ვიოლეტა ფორჩხიძე** სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **<u>90</u>** (ოთხმოცდა ათი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი